MES 8 23 0000535753

15/05/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 27 აპრილს 14:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87989542848?pwd=dFNtYXVqU2xkZFpXQ3NzMjJaczEyUT09
Meeting ID: 879 8954 2848
Passcode: 007904

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნინო შუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტის მენეჯერი (კონსულტანტი) (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი – სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ქართული ღვინის გილდია
მარიამ ხომასურიძე - თანადამფუძნებელი
ნინო თექთუმანაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს პეა
ნიცა მდივანი - დირექტორი
თამთა ჭალიძე - მარკეტინგის გუნდის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“
ნანა ჯოლია - დირექტორი
ნანა ფაჩუაშვილი - დირექტორის მოადგილე
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ნაზიბროლა ყაზაიშვილი - იურისტი
სოფიო კვერღელიძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ნუკი ჩხიკვაძე - პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ექსპერტი
ბესიკ მეფარიშვილი - პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ალექსანდრე ჩალათაშვილი
ლაშა ცაგარეიშვილი
თეა მახათელაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ ზაირა ბერიძეს, რაზეც ზაირა ბერიძემ თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ქართული ღვინის გილდიის „ღვინის დეგუსტატორი“ /01572/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ქართული ღვინის გილდიის „ღვინის წარმოების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები“ /01571/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს პეას „კონტენტი სოციალურ მედიაში“ /01598/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01607/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენელს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. შუამდგომლობა ეხებოდა დღის წესრიგით განსაზღვრული მეოთხე საკითხის (ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01607/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი) პირველ საკითხად განხილვას. ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების დირექტორმა ცენტრს მიმართა შუამდგომლობით აღნიშნული საკითხის პირველ საკითხად გადმოტანის შესახებ.

საბჭოს წევრების და დამსწრე პირების თანხმობის შემდეგ, საბჭოს სხდომა წარიმართა განახლებული დღის წესრიგის მიხედვით

1. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01607/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ქართული ღვინის გილდიის „ღვინის დეგუსტატორი“ /01572/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ქართული ღვინის გილდიის „ღვინის წარმოების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები“ /01571/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს პეას „კონტენტი სოციალურ მედიაში“ /01598/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01607/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა, მან აღნიშნა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 მარტის №310274 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2023 წლის 23 მარტს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ ფილიალში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში, სადაც განხორციელდება წარმოდგენილი პროგრამა. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან (დისტანციურად), გორაბერეჟოულის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერთან, ზრდასრულთა განვითარების კოორდინატორთან, სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტთან, მატერიალური რესურსების მენეჯერთან.
ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი, კოლეჯის ლაბორატორია, განხორციელდა პარტნიორ კომპანიებთან ვიზიტი, პრაქტიკული კომპონენტის სწავლების შესაძლებლობების დათვალიერების მიზნით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა აღნიშნული პროგრამა მეორედ შემოიტანა, პირველი განაცხადის საფუძველზე, ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 22 სექტემბერს. პროგრამას, 2023 წლის იანვარში, უარი ეთქვა განხორციელების უფლების მინიჭებაზე, რადგან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა არ იყო შესაბამისობაში, დასასრულებელი იყო სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის მოთხოვნა, კერძოდ 60 ტონიანი წყლის ავზის დამონტაჟება. ასევე, იყო რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი და რეკომენდაცია.
დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები, მოაგვარა აღნიშნული პრობლემა, დაწესებულებას უკვე აქვს სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისობის დასკვნა და შესაბამისად, მეორედ შემოიტანა განაცხადი. ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 23 მარტს.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდებაა - ,,ღვინის დამზადება საოჯახო მარანში"; პროგრამის სახე - მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 16 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორაბერეჟოული.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. შემდეგ მან ისაუბრა თითოეულ ქვესტანდარტთან მიმართებაში.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან განხორციელებული შეხვედრების დროს გამოიკვეთა კომპანიებთან, კერძოდ „კობიძეების მარანი", „მეფარიშვილების მარანი" და ,,ამირან დოლიძის მარანი" თანამშრომლობით მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით საგანმანათლებლო სერვისის შემუშავებისა და განხორციელების საჭიროება. რაკი კოლეჯს აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების გამოცდილება გააჩნია, ამასთანავე, მნიშვნელოვანია საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში პროექტების განხორციელება, ზემოაღნიშნულ კომპანიებთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „ღვინის დამზადება საოჯახო მარნებში", რომლის შემუშავების პროცესი უზრუნველყოფილი იყო პროექტის „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისათვის, პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის SECTORs" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური დახმარებითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის კოორდინაციით. აღნიშნული მიმართულების საგანმანათლებლო სერვისის შემუშავება/დანერგვის საჭიროება გამოიკვეთა აგრეთვე, ზემოთ დასახელებული პროექტის ფარგლებში, 2020-2021 წელს განხორციელებულ კვლევაშიც „შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით", რომელმაც დაადასტურა, რეგიონში მევენახეობა/მეღვინეობის მიმართულებით კვალიფიციური კადრის მომზადების საჭიროება, მზარდი მოთხოვნა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა. პარტნიორ კომპანიებს აქვთ გაფართოების, კვალიფიციური სპეციალისტების გამოზრდისა და შემდგომში მათი დასაქმების სურვილი, მზად არიან აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მსმენელებს შესთავაზონ შესაბამისი სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია იმ მატერიალური რესურსით (აღჭურვილობა, ინვენტარი, გარემო), რომელიც პროგრამის განხორციელებისთვის არის აუცილებელი და ასევე კვალიფიციური ინსტრუქტორები. ხოლო, კოლეჯში (გორაბერეჟოულის ფართი) უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, არის ადაპტირებული გარემო, ლაბორატორია, სასწავლო რესურსები (სასწავლო ლიტერატურა, მასალები) და გამოცდილი, გადამზადებული/კვალიფიციური პერსონალი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. გასაუბრების დროს აპლიკანტთა გასაუბრება ხორციელდება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. (შეფასების კრიტერიუმებია - მოტივაცია, ინტერესი პროფესიისადმი, მზაობა ფიზიკური შრომისათვის, ხედვა გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით, სტრესულ გარემოში მუშაობის მზაობა, პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა ან გამოცდილება). მაქსიმალური საკონკურსო ქულაა - 15, მინიმალური - 5. აღსანიშნავია, რომ საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან პარტნიორი კომპანიის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი.
წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს შვიდი სწავლის შედეგის მიღწევას, კერძოდ

1. გურიაში გავრცელებული ვაზის ჯიშების საოჯახო მარანში დამზადების თავისებურებათა მიმოხილვა;
2. მარნის ჰიგიენის და სანიტარული პირობების უზრუნველყოფა;
3. ყურძნის მოსავლის აღება-დაბინავება;
4. ყურძნის გადამუშავება;
5. ღვინის დავარგება;

6. ღვინის ხარისხის შემოწმება;
7. ღვინის ჩამოსხმა, მარკირება, ბრენდირება.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
აღნიშნულ პროგრამაზე სწავლება ხორციელდება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ კოლეჯის ბაზაზე და ღვინის მარნებში. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.
სწავლების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა სწავლების მეთოდები: დისკუსია, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული მეცადინეობა, ინტერაქციული ლექცია.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს ექვსი პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომებითა და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის ორ განმახორციელებელთან გასაუბრება, აღნიშნული პირები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაშიც და მათ გამოცდილებასთან ერთად აქვთ მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.
მატერიალურ რესურსთან დაკავშირებიოთ მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამისთვის კოლეჯში გამოყოფილია ორი სასწავლო გარემო (A; AC), სადაც მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში მაქსიმუმ 15 მსმენელზე. კოლეჯს პროექტის ფარგლებში გადმოეცა ლაბორატორია, რომელიც ვიზიტის დროს დათვალიერდა, გადამოწმდა ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტებიც.
კოლეჯს გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სამ მეწარმე სუბიექტთან, რომლებიც ვალდებულნი არიან სასწავლო პროცესის წარმართვა მოხდეს მაქსიმუმ 15 მსმენელის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების შესაძლებლობის გათვალისწინებით. გამოყოფილი იქნება მსმენელთათვის მემორანდუმის დანართით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი. ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა პარტნიორის მფლობელობაში არსებული მარნის მატერიალური რესურსები, რის საფუძველზეც დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
კოლეჯს დადებული აქვს პრაქტიკული კომპონენტის თანაგანხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება 3 პარტნიორთან: ი/მ ბ. მ.; ი/მ ტ. კ. და ი/მ ა. დ. პარტნიორები დაეხმარება კოლეჯს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ პრაქტიკული ნაწილის განხორციელების საკითხებში. მათი ვალდებულება მემორანდუმის მიხედვით არის:
ა) საკუთარი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ 15 კაციანი ჯგუფის ჩართვას პრაქტიკულ პროცესში (პროგრამის 3 წლიანი განხორციელების მანძილზე), რაც გულისხმობს დაკვირვებას და სამუშაო პროცესში ჩართვას იმ პროცესებზე, რომელიც პერიოდულად, აგრო ვადების გათვალისწინებით, ხორციელდება მის კერძო მეურნეობაში ღვინის დამზადების კუთხით. ასევე აძლევს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო, მეურნეობის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით სარგებლობის უფლებას ხელშეკრულების დანართის შესაბამისად.

ბ) პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების უზრუნველყოფას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი.
  გ) პასუხისმგებელი იქნება მსმენელთა სწავლების განხორციელებისათვის, მეურნეობაში სასწავლო პროცესის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე და ითანამშრომლებს განმახორციელებელ პირებთან.
დაწესებულებას აღნიშნული პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 9 სასწავლო რესურსი, მათ შორის ერთი ელექტრონული რესურსი და 8 სახელმძღვანელო (ელექტრონული ვერსია), რომელიც ჩატვირთულია დაწესებულების კომპიუტერებში. მსმენელებს შეუძლიათ მოიძიონ დასახელებული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალის ამობეჭდვა და მსმენელებისთვის მიწოდებაც. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით წარმოდგენილია 3 სასწავლო რესურსი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესიც. არის მსმენელებისთვის მიმზიდველი თანამედროვე გარემო ბიბლიოთეკის სივრცეში. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის წერილი სოფელ გორაბერეჟოულში მდებარე შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც მომზადებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №16, რითაც დასტურდება, რომ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაშია.
კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია გორაბერეჟოულის ფართზე ,,შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, საგანგებო სიტუაციების მართვის წესი“ და ,,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის წესები“.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა შეკითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას ხომ არ ჰქონდა კომენტარი და დაინტერესდა, როდის გეგმავდა ამ პროგრამაზე მსმენელების მიღებას, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ივნისიდან გეგმავენ მსმენელების მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01607/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ღვინის დამზადება საოჯახო მარანში /01607/ **(დანართი 1).**

2. შპს ქართული ღვინის გილდიის „ღვინის დეგუსტატორი“ /01572/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ქართული ღვინის გილდიის „ღვინის წარმოების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები“ /01571/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აღნიშნული საკითხის წარმდგენებს, რომ ერთად განეხილათ ორივე საკითხი, ვინაიდან ორივე საკითხი ეხებოდა ერთ ორგანიზაციას.
მეორე საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე ჩალათაშვილმა, მან აღნიშნა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 მარტის №298703 ბრძანების (ცვლილება №323247 21.03.2023) საფუძველზე, პროფესიული მომზადების პროგრამის - „ღვინის დეგუსტატორი" განხორციელების უფლების მოპოვებისათვის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 მარტს, შპს ქართული ღვინის გილდიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. № 17/9 აპრილის ქუჩა №5.
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, რაც გულისხმობდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებას; იურიდიული პირის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებას; სხვადასხვა სახის მარეგულირებელი და კანონქვემდებარე დოკუმენტაციის შესწავლას.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ,,ქართული ღვინის გილდია” საქართველოს მევენახეობა-მეღვინოების სექტორში მოქმედი საგანმანათლებლო-საკონსულტაციო ორგანიზაციაა, რომელიც მევენახეებს, მეღვინეებს, მეწარმეებს (დაახლოებით 380 კომპანია/მეწარმე) მუდმივად აწვდის ინფორმაციას წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების, მეცნიერული მიდგომების, ბაზრის მოთხოვნებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმილი საერთაშორისო კონკურსების, გამოფენების, ინოვაციების და სიახლეების შესახებ. ორგანიზაციას კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელს.
დაწესებულებას ყავს ჯამში 112 კურსდამთავრებული. სერტიფიკატების გაცემის ჟურნალის მიხედვით სერტიფიკატების დიდი ნაწილი გაცემულია.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ოთხი რეკომენდაცია, კერძოდ,
1.3 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და პროგრამის მიზანში სწორად მიეთითოს პროგრამის სახე - მომზადების პროგრამა.
1.4 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია მსმენელთა ნაკადის მიღებამდე გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და პროგრამაში დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სრული ზოგადი განათლება.

1.6 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყოს ლაკონურად, იმგვარად, რომ მცირე მოცულობის წინადადებაში სწავლის მთლიანი შედეგის შინაარსი და ლოგიკურობა არ იყოს დარღვეული

3.4 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია, ორგანიზაციამ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშაოს/განაახლოს კითხვარები და რეგულაციის მიხედვით პერიოდულად აწარმოოს ჩართულ მხარეთა კმაყოფილების კვლევა და პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასება, ხოლო შედეგები გამოიყენოს სასწავლო პროცესის, ადმინისტრირების, პროგრამებისა და რესურსების გაუმჯობესებისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის მიზანთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია მსმენელს შეასწავლოს ღვინის სენსორული შეფასება, დეგუსტაციის ორგანიზება და ღვინის სერვინგის ეტიკეტი. თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარების, კერძოდ, სენსორული შეგრძნებების განვითარების გზით, მოამზადოს ღვინის დეგუსტატორები, რომელთაც ექნებათ, როგორ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ღვინის მარნებში, ღვინის სერვისისა და რეალიზაციის ობიექტებში, ღვინის ტურიზმის სექტორში, სხვადასხვა დანიშნულების სადეგუსტაციო კომისიებში, დასაქმებისა და კარიერის განვითარების შესაძლებლობა.

მან დასძინა, რომ პროგრამაზე მსმენელთა დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია:

ასაკი - 18 წელი და პროფესიული გასაუბრება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი განათლება, რისი მითითებაც პროგრამაში ტექნიკურად გამორჩენილია.

მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს სწავლის 5 შედეგის მიღწევას, კერძოდ

1. იცის საწარმოო, საპრეზენტაციო, საკონკურსო და სხვადასხვა დანიშნულების დეგუსტაციის დაგეგმვა, ჩატარება, შედეგების შეჯამება, დეკლარირება პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.
2. ღვინის სენსორული შეფასების ცოდნა, სხვადასხვა დანიშნულების სადეგუსტაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის უნარი, ღვინი შეფასების სისტემების გააზრებისა და გამოყენების კომპეტენცია.
3. ღვინის წარდგენის, ღვინის სერვინგის/ეტიკეტის დაცვის კომპეტენცია. სხვადასხვა ტიპის/კატეგორიის ღვინის შედგენილობის, დესკრიპტორების, ფერის, არომატისა და გემოს ზეპირსიტყვიერი და წერილობითი ფორმით დახასიათების უნარი, დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით.
4. ქართული, ევროპისა და ახალი მეღვინეობის ქვეყნებში კულტივირებული ვაზის ჯიშებიდან წარმოებული ღვინოების, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ჯიშური დესკრიპტორებისა და ტიპიურობის განსაზღვრის უნარი.
5. სენსორული შეფასების გზით, ღვინისა ზადისა და ნაკლის იდენტიფიცირების უნარი, ზადისა და ნაკლის დასახასიათებლად საჭირო ტერმინების ცოდნა.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, სულ 68 საათი, აქედან დაწესებულებაში (A გარემო) ხორციელდება 61 საათი (59 თეორიული კომპონენტი, 2 საათი საბოლოო გამოცდა), ხოლო სასწავლო ექსკურსიებს (C გარემო) ეთმობა 7 საათი პარტნიორ ორგანიზაციებში.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად საჭიროა მცირემასშტაბიანი აღჭურვილობა, რაც განთავსებულია აუდიტორიაში, შესაბამისად დაწესებულებაში მიმდინარეობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება.

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ყოველი თეორიული მეცადინეობის შემდეგ, დღის ბოლოს მსმენელებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, რაც გულისხმობს ღვინოების შეფასებას და დაავადებების ამოცნობას. პროგრამაში ჩართულია სამი განმახორციელებელი პირი.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 25, პროგრამა განხორციელდება მისამართზე - ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. № 17/9 აპრილის ქ. №5.

პრეზენტაციის ბოლოს მან აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია და წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

მესამე საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 მარტის №298702 ბრძანების (ცვლილება №323250 21.03.2023) საფუძველზე, პროფესიული გადამზადების პროგრამის - „ღვინის წარმოების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები" განხორციელების უფლების მოპოვებისათვის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 მარტს, შპს ქართული ღვინის გილდიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. № 17 / 9 აპრილის ქუჩა №5.
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, რაც გულისხმობდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებას; იურიდიული პირის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებას; სხვადასხვა სახის მარეგულირებელი და კანონქვემდებარე დოკუმენტაციის შესწავლას.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა სამი რეკომენდაცია, კერძოდ,
1.4 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია მსმენელთა ნაკადის მიღებამდე გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და პროგრამაში დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სრული ზოგადი განათლება.
1.6 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყოს ლაკონურად, იმგვარად, რომ მცირე მოცულობის წინადადებაში სწავლის მთლიანი შედეგის შინაარსი და ლოგიკურობა არ იყოს დარღვეული
3.4 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია, ორგანიზაციამ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშაოს/განაახლოს კითხვარები და რეგულაციის მიხედვით პერიოდულად აწარმოოს ჩართულ მხარეთა კმაყოფილების კვლევა და პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასება და შედეგები გამოიყენოს სასწავლო პროცესების, ადმინისტრირების, სასწავლო პროგრამებისა და რესურსების გაუმჯობესებისთვის.
მან ისაუბრა პროგრამის მიზანთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია ,,გადაამზადოს ღვინის წარმოების პროცესში ჩართული პირი, რომელსაც, მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეეძლება ინდუსტრიულ თუ საოჯახო, მცირე და საშუალო წარმადობის მარანში დანერგოს ღვინის დაყენების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები; მემარნეს, ღვინის წარმოებით, ბიზნესით დაინტერესებულ პირს, მარანში მომუშავე პერსონალს, ასწავლოს ტრადიციებისა და თანამედროვე მიდგომების შერწყმით, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ღვინოპროდუქციის წარმოება. აუხსნას ღვინის წარმოების ცალკეული ოპერაციისას მიმდინარე პროცესები. გააცნოს ღვინის, მათ შორის ბიო (ორგანული) ღვინის, წარმოებისადმი, მზა პროდუქციის შედგენილობისა და სენსორული მახასიათებლებისადმი დარგის მარეგულირებელი დოკუმენტაციით წაყენებული მოთხოვნები და ღვინის სერტიფიცირების პროცედურები''.
პროგრამაზე მსმენელთა დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია:
ასაკი - 18 წლიდან ზემოთ და სამუშაო გამოცდილება, კერძოდ, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან მინიმუმ ერთს:

1. მარანში არანაკლებ 1 წლიანი მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება: შესაბამისი ცნობით სამუშაო ადგილიდან ან ოჯახის წევრის მარნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტით და მარნის მესაკუთრის მოხსენებითი ბარათით, რომ აპლიკანტი მონაწილეობას იღებს და აქვს ღვინის წარმოების გამოცდილება;
2. კანდიდატი ფლობს სოფლის მეურნეობის, სასურსათო ტექნოლოგიის ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პროფესიული/უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამადასტურებელ სერტიფიკატს/დიპლომს.
3. კანდიდატს, რომელსაც პროფესიული/უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვს საბუნებისმეტყველო (ქიმია ან/და ბიოლოგია) ან სოფლის მეურნეობის დარგის შემსწავლელი სასწავლო კურსი, არანაკლებ სამი კრედიტის ოდენობით.
4. გავლილი აქვს აგრონომიის ან ენოლოგიის (მევენახეობა, ღვინის წარმოება, ღვინის სენსორული შეფასება) შემსწავლელი არაფორმალური განათლებას მიკუთვნებული ტრენინგ კურსი.

თუ კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს და ვერ წარადგენს მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ მოთხოვნებსა და დოკუმენტებს, მაშინ პროგრამაზე დასაშვებად მან უნდა გაიაროს წინასწარი ტესტირება მიმღებ კომისიასთან. ტესტირების შედეგები მიმღები კომისიის წევრებს საშუალებას მისცემს შეაფასოს აპლიკანტის ღვინის წარმოების საბაზისო ცოდნა, რის საფუძველზეც მიმღები კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას აპლიკანტის აღნიშნულ პროგრამაზე დაშვება არ დაშვების შესახებ.
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - 1. გასაუბრება; 2. გამოცდა.
ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი განათლება, რისი მითითებაც პროგრამაში ტექნიკურად გამორჩენილია.
პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს ხუთი სწავლის შედეგის მიღწევას, კერძოდ
1. იცის ღვინის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიური ოპერაციების წარმოშობის ისტორიული საფუძვლები ,ტერუარის თავისებურებიდან და ფაქტორებიდან გამომდინარე, განვითარების მიზეზები, დანიშნულება, დადებითი-უარყოფითი ფაქტორები, თანამედროვე წარმოებაში ამ ოპერაციის შესრულების;
2. იცის ღვინის წარმოების თანამედროვე მეთოდები და მოწყობილობები, მათი გამოყენების დანიშნულება, დადებითი/უარყოფითი ფაქტორები, თანამედროვე მასალების შედგენილობა, დოზირება, გამოყენებისა და მათი უსაფრთხოდ მოხმარების წესები.
3. შეუძლია, დასამზადებელი ღვინის, ყურძნის შედგენილობის, მარანში არსებული პირობების, მარნის წარმადობის გათვალისწინებით, შეარჩიოს მარნის აღჭურვის, ღვინის წარმოების პროცესისათვის საჭირო ტრადიციული და თანამედროვე აპარატები, მოწყობილობები, მეღვინოების პრაქტიკისათვის ნებადართული მასალები.
4. აქვს უნარი თავიდან აიცილოს ღვინის ზადისა და ნაკლის განვითარება, უზრუნველყოს კონდიციური ღვინის წარმოება, ღვინის დეფექტისას, სენსორული მახასიათებლების გაუმჯობესებისათვის, გამოიყენოს მეღვინობის პრაქტიკისათვის ნებადართული თანამედროვე მასალები.
5. აქვს უნარი ტრადიციებზე დაყრდნობითა და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დაამზადოს უზადო, კონდიციური ღვინოპროდუქცია, რომლის შედგენილობა და სენსორული მახასიათებლები შესაბამისობაში იქნება დარგის მარეგულირებელ დოკუმენტაციასთან.
პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, სულ 75 საათი, აქედან დაწესებულებაში (A გარემო) განკუთვნილია 60 საათი, ხოლო სასწავლო ექსკურსიებს (C გარემო) ეთმობა 15 საათი პარტნიორ ორგანიზაციებში. პროფესიული გადამზადების პროგრამის „ღვინის წარმოების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები“ სწავლების თეორიული ნაწილი განხორციელდება დაწესებულებაში სპეციალურად მოწყობილ და

აღჭურვილ აუდიტორიაში, ხოლო სასწავლო ექსკურსია გათვალისწინებულია 6 პარტნიორ ორგანიზაციაში: შპს კახური ღვინოები kakhetian wines, შპს ვაზი+, შპს ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია, სს ბაგრატიონი 1882, შპს შატო ზეგაანი, შპს ვილლა მოსავალი. აღსანიშნავია, რომ შპს ,,ვაზი+''- ში მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები საწარმო პროცესის გაფართოების მიზნით, ამჟამად საწარმო პროცესი მცირე ფართში მიმდინარეობს და ექსპერტთა შეფასებით მსმენელთა სრულფასოვნად მიღებას ორგანიზაცია შეძლებს სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამაში ჩართულია 7 განმახორციელებელი პირი. რომელთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლებისა და მიზნობრივი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

მან ასევე ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 25, პროგრამა განხორციელდება მისამართზე - ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. № 17/9 აპრილის ქ. №5.

პრეზენტაციის ბოლოს მან აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია და წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან შპს ქართული ღვინის გილდიას აქვს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების გამოცდილება, საბჭო იმედოვნებს, რომ ეს პროგრამებიც წარმატებით განხორციელდება, ვინაიდან ბაზარზე ძალიან აქტუალურია. მან ორგანიზაციას წარმატება უსურვა და დასძინა, რომ გაითვალისწინონ ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები და მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა მარიამ ხომასურიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და განაცხადა, რომ მათ ძალიან დაეხმარა პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელება/ განვითარებაში. მან დასძინა, რომ მათ ჰყავთ პოპულარული განმახორციელებელი პირები, რომელთაც აქვთ საერთაშორისო გამოცდილება, თუმცა აღსანიშნავია, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობა ნაყოფიერი იყო ორგანიზაციისთვის, რა თქმა უნდა ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა, ექსპერტებს, საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული ღვინის გილდიის „ღვინის დეგუსტატორი“ /01572/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ქართული ღვინის გილდიას (ს/კ: 405297423) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ღვინის დეგუსტატორი /01572/ **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული ღვინის გილდიის „ღვინის წარმოების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები“ /01571/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ქართული ღვინის გილდიას (ს/კ: 405297423) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ღვინის წარმოების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები /01571/ **(დანართი 3).**

4. შპს პეას „კონტენტი სოციალურ მედიაში“ /01598/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის №329631 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ლაშა ცაგარეიშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,კონტენტი სოციალურ მედიაში'' განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2023 წლის 28 მარტს განახორციელეს ვიზიტი შპს პეაში, ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის №115ბ. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია, კერძოდ
1.4 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და მიეთითოს დაშვების წინაპირობის ველში - სრული ზოგადი განათლება.
მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია:

,,კონტენტ მარკეტინგით დაინტერესებული პირისთვის ისეთი ცოდნის გადაცემა და უნარების გამომუშავება, როგორიცაა:
1. კონტენტ მარკეტინგის, როგორც კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენების როლისა და მნიშვნელობის გააზრებას;
2. ბრენდის წარმატებული საქმიანობისათვის კონტენტ მარკეტინგის ეფექტურად გამოყენებას;
3. ბრენდის კონტენტიდან გამომდინარე სხვადასხვა სოციალურ მედია პლატფორმაზე შესაბამისი ფორმატების კონტენტის, მიდგომების, კონტენტ კალენდრის შექმნას, შედეგების შეფასებასა და ანალიზს.''
სწავლის შედეგებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ
1. განმარტავს კონტენტის მნიშვნელობას სოციალურ მედიაში
2. კონტენტის შექმნისთვის იყენებს სოციალური მედიის საკომუნიკაციო ინსტრუმენტებს
3. ქმნის კონტენტ სტრატეგიას
4. ქმნის კონტენტს სოციალურ ქსელში
5. განმარტავს ინფლუენსერის როლს მარკეტიგნული კამპანიისას
6. ქმნის კონტენტს SEO-ში გამოსაყენებლად
7. კონტენტის შექმნის მიზნით გეგმავს ფოტო-ვიდეო სესიას
8. განმარტავს შემოქმედებითი კამპანიის როლს კონტენტის შექმნაში.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,შრომითი ბაზრის კვლევა''. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს შრომის ბაზარზე მარკეტინგის სფეროს პოზიციებზე მოთხოვნის შეფასება. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდოლოგია.
გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 112-მა ადამიანმა - ძირითადად კომპანიის დამფუძნებლები, გენერალური დირექტორები, მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსები და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები.
ეკონომიკის სამინისტროს საქართველოს შრომის ბაზრის 2022 წლის კვლევამ აჩვენა, რომ სექტორების მიხედვით დასაქმება 2021 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე მეტად ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში გაიზარდა - 24.8%-ით. გარდა ამისა, რეგიონების კვლევამ აჩვენა, რომ უკანასკნელ 2-3 წელში ყველა სამიზნე რეგიონში გაზრდილია მოთხოვნა ისეთ პროფესიულ ჯგუფებზე, როგორიცაა მარკეტინგის მენეჯერი და სოციალური მედიის მენეჯერი. ბიზნესისა და ადმინისტრირების ქვეჯგუფიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები (35%).
წარმოდგენილი შრომითი ბაზრის კვლევა ცხადყოფს ახალი უნარების საჭიროებას თანამედროვე ეპოქაში, ორგანიზაციების განვითარებისთვის, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექნოლოგიები და მასთან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება.
წარმოდგენილი მომზადების პროგრამაა "კონტენტი სოციალურ მედიაში", პროგრამის შინაარსი მორგებულია შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე, კერძოდ, უზრუნველყოფს სოციალურ მედიაში კონტენტის შემუშავებას და კომუნიკაციის წარმართვას მიზნობრივი აუდიტორიის შესაბამისად.
ხაზგასასმელია, რომ პროგრამა მოიცავს სოციალური მედიის იმ არხებს, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია და გამოიყენება, როგორც გლობალურ ბაზარზე, ასევე საქართველოში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კონტენტი სოციალურ მედიაში ემსახურება კონკრეტულ მარკეტინგულ მიზნებს, ასევე, გარკვეული ინფორმაციის გავრცელებას და სწორ აუდიტორიამდე მიწვდენას. ასეთი შეიძლება იყოს, საკანონმდებლო რეგულაციების, ან თანამდებობის პირის ოფიციალური განცხადების გავრცელება.
წარმოდგენილი პროგრამაში გათვალისწინებულია ასევე ზემოაღნიშნული პირობა, რაც აკმაყოფილებს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორისათვის.

მან ასევე ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა 18 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 75, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის №115ბ.
ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია და წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
შემდეგ დარგის ექსპერტმა ლაშა ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ საკმაოდ ამომწურავად იქნა წარმოდგენილი პრეზენტაცია, მან ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ პირველ რიგში ისაუბრებდა ამ პროფესიის შესახებ და დასძინა, რომ ეს პროგრამა არის ციფრული მარკეტინგის ერთ-ერთი განხრა, სოციალურ მედიაში კონტენტი, მოთხოვნა საკმაოდ მაღალია და ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს, კონკრეტულად ეს პროგრამა მორგებულია ყოველდღიურად გამოყენებად სოციალურ მედიებს, არა მხოლოდ ბიზნესის ნაწილში, არამედ, პერსონალურ პირად ცხოვრებაშიც კი, ამიტომ კარგად იცნობს საზოგადოება და განსაკუთრებით ყურადსაღებია ეს პროგრამა. მან ყურადღება გაამახვილა ორ მომენტზე და აღნიშნა, რომ დასაქმების ბაზარზე არის ხოლმე პრობლემა, როდესაც სწავლას დაასრულებენ სთხოვენ სამუშაო გამოცდილებას, თუმცა ამ პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტი საკმაოდ კარგად არის გაწერილი, სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება პორტფოლიო, რომელიც მნიშვნელოვანი კომპონენტია, მეორე კომპონენტი ასევე მნიშვნელოვანია კონტენტი სოციალურ მედიაში არ ემსახურება მხოლოდ ბიზნესს, მაგ. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, რომელიმე ცნობილი პიროვნების „ფეიჯების“ მართვა, ან შეიძლება იყოს პოლიტიკური ფიგურა ან „სერებლითი“. რაც არის განსაზღვრული პროგრამაში არხები, მოხმარებადია და საკმაოდ ცნობილია, თუმცა ქართულ ბაზარზე უფრო ნაკლებად არის ცნობილი twiter, შესაძლებელია იმიტომ, რომ ალგორითმი არის ინგლისურენოვანი. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია მოემსახუროს როგორც ბიზნესს, ასევე ნებისმიერ პირს.
მან ასევე ისაუბრა განმახორციელებელ პირებზე და დასძინა, რომ გაეცნო თითოეული პირის პორტფოლიოს. მათი გამოცდილება მოიცავს, როგორც აქტიურ კონტენტს ბიზნესთან, ასევე ძალიან აქტიურ კონტენტს სოციალურ მედიასთან.
შესაბამისად ამ სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი პირების გამოცდილება ამ მიმართულებასაც შეიცავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ახალი ჯგუფის მიღებამდე გაეთვალისწინებინათ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები, მან დასძინა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მოთხოვნილი მსმენელთა რაოდენობა არ არის ცოტა, თუ რამდენი მსმენელის მიღებას გეგმავდა ორგანიზაცია ამ მიღებაზე, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ორი კვირის წინ ერთ-ერთ პროგრამაზე ჰქონდათ გამოცხადებული რეგისტრაცია, რეალურად ერთ პროგრამაზე 300 აპლიკანტამდე იყო რეგისტრირებული, თუმცა კვოტა იყო განსაზღვრული 75, შესაბამისად 300 - დან მხოლოდ 75 აპლიკანტი შეირჩა, აქედან გამომდინარე, ეს 75, უკვე ფიქრობენ, რომ ცოტაა, ვინაიდან, მოთხოვნა არის მეტი.
თუმცა ამ ეტაპზე მატერიალური რესურსიდან გამომდინარე მეტის მიღების საშუალება არ აქვთ, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ გაფართოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეას „კონტენტი სოციალურ მედიაში“ /01598/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს პეას (ს/კ: 405479101) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კონტენტი სოციალურ მედიაში /01598/ **(დანართი 4).**
დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:06 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიძე ზაირა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01572	ღვინის დეგუსტატორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	25	ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. №17/9 აპრილის ქ. №5

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01571	ღვინის წარმოების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	12	ქართული	25	ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. №17/9 აპრილის ქ. №5

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01598	კონტენტი სოციალურ მედიაში	პროფესიული მომზადება	მეხუთე	18	ქართული	75	ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №115ბ

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01607	ღვინის დამზადება საოჯახო მარანში	პროფესიული მომზადება	მეოთხე	16	ქართული	15	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორაბერეჟოული